ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი

ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ

\XVI—XVIII საუკუნეები\

ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, მცირე შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ.

თბილისი 2013

მონოგრაფია ეძღვნება საყვარელი მასწავლებლის, გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე—ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ვალერიან გაბაშვილის ნათელ ხსოვნას.

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნდება რამდენიმე ოსმალური წყარო,რომელიც ძალიან საინტერესოა მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის სოციალურ ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის წარმოსაჩენად.აქვე წარმოდგენილია, როგორც ვრცელი, ასევე მოკლე დავთრები. მასში არსებული ტერმინოლოგია გასათვალისწინებელია ხსენებული რეგიონის ისტორიის მრავალი საკითხის გასარკვევად.

დავთარში წარმოდგენილია ისეთი სახის ოსმალური გადასახადი და ვალდებულება, რომელთა საგანგებო შესწავლა ხელს შეუწყობს ოსმალური საგადასახადო სისტემის უკეთ შესწავლას. დავთრებში ოცამდე ოსმალური გადასახადია წარმოდგენილი, ასეთებია: გადასახადი ისფენჯზე, ხორბალზე, ქერზე, ფუტკარზე,წისქვილზე, ბენაქზე, არუსანეზე, დეშთიბანზე, იონჯასა და თივაზე, ოსპზე, მუხუდოზე, ცერცვზე და სხვაზე.

აქვე ქვეყნდება წყაროთა დედნები, მათი ქართული თარგმანით და მცირე შენიშვნებით. ნაშრომი განკუთვნილია აღნიშნული მხარის და საერთოდ ტაო-კლარჯეთის ისტორიით დაკავებულ პირთათვის. წყარო ასევე ძვირფასია ხსენებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი წიგნის გამოცემისთვის მადლობას უხდის კომპანია **„O&K Building Company"**-ს და მის დირექტორს ბატონ ქენან ილდირიმს.

ISBN 978-9941-407-19-2

გამომცემლობა ჰოროსი XXI
PUBLISHING HOUSE HOROSI XXI
მისამართი: თბილისი, პუშკინის ქ. 13
ტ. (+99532) 2997078; (+99599)943993
ელ-ფოსტა: horosi xxi@gmail.com

The Extended (Mufassal) and Concise (Icmal) Ottoman Defters on Tao-Klarjeti (16^{th} – 18^{th} cc.)

The Georgian translation of the text in the Ottoman Turkish with an introduction, notes and facsimiles was prepared for publication by Prof. **Nodar Shengelia**

Османские пространные и краткие дефтери о Тао-Кларджеты XVI-XVIII вв.

Османский текст с грузинским переводом, введенем, краткими замечаниями и факсимиле к изданию подготовил проф. **Нодар Шенгелия**

Tao-Klarceti Hakkındaki Osmanlı Mufassal ve İcmal Defterleri

Osmanlı metin, Gürcüce çeviri, bir Araştırma Faksimilesiyle Neşretmek için Hazırlayan prof. **Nodar Şengelia.**

نودار شنكليا، تاو- قلارجتي حاققندم كى

عثمانلى مفصل و يجمال دفترلرى . تفليس

Tbilisi-Тбилиси
2013

სარჩევი

რედაქტორისგან 5

შესავალი 10

ქართული თარგმანი
1. მცირე არტაანის ლივის დავთარი 41
2. მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი..95
3. მამირვანის ლივა გურჯისტანის ვალაიეთში..213
4. მცირე არტაანის მოკლე \იჯმალ\ დავთარი.. 309
5. იჯმალ დავთარი ტაო-კლარჯეთის ისტორიისთვის..356

შენიშვნები.. 476

დედანი ოსმალური ტექსტი
მცირე არტაანის ლივის დავთრის დედანი..479
მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი 550
მამირვანის ლივა გურჯისტანის ვალაიეთში..617
მცირე არტაანის მოკლე \იჯმალ\ დავთარი..678
იჯმალ დავთარი ტაო-კლარჯეთის ისტორიისთვის..742

Summary
The Extended (Mufassal) and Concise (Icmal) Ottoman Defters
on Tao-Klarjeti (16^{th}-18^{th} c.) 866

რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებულში ქვეყნდება რამოდენიმე ოსმალური წყარო, რომლებიც ძალიან საინტერესოა XVI-XVIII საუკუნეების ტაო-კლარჯეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის წარმოსაჩენად. აქვე წარმოდგენილია ვრცელი და მოკლე დავთრები მეტად ძვირფასია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის ისტორიის მრავალი საკითხის გასათვალისწინებლად.

ნაშრომში წარმოდგენილი წყაროები ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. აქვე პირველ დოკუმენტად წარმოდგენილია მეტად საინტერესო დავთარი არტაანისა და ყარსის ლივის შესახებ. მისი შიფრია: 527. დოკუმენტი შედგება 156 გვერდისგან. დანარჩენი გვერდები ყარსის ლივას შეეხება. მცირე არტაანის ლივა შედგება ჩრდილის, მზვარეს, გერმუჯექისა და ხოჯავანის ნაჰიეებისგან. დავთრის შედგენის თარიღად მითითებულია 1574 წლის 23 მარტი. შესავალში საუბარია ალაჰისადმი მიმართვაზე, მაღალი ღვთაების მფარველობაზე, დავთრის შედგენაზე და სხვა. მეორე სვეტზე საუბარია არზრუმის ბეგლარ-ბეგისადმი გაგზავნილი ჰუქმის თაობაზე.

დავთარში აქვეა ჩართული ორი პატარა დოკუმენტი, რომლებიც დავთრის შედგენიდან ერთი წლის შემდეგაა შედგენილი. ორივე დოკუმენტს ერთი და იგივე თარიღი ახლავს. ერთი დოკუმენტი არზრუმის ბეგლარ-ბეგისადმია გაგზავნილი, მეორე კი არტაანის ბეგლარ-ბეგისადმი. პირველ დოკუმენტში საუბარია არზრუმის ბეგლარ-ბეგის მიერ ბეჭდიანი დავთრის გამოგზავნის თაობაზე.

მეორე დოკუმენტის მიხედვით მცირე არტაანი მეჰმედ ბეგს ებოძა. მან დაიკავა გარკვეული ადგილები და მოახერხა თიმარის მითვისება. მან უშრის მეათედი არ აიღო იმისთვის, რომ განთავისუფლებულიყო ვალდებულებებისა და თექალიფი ურფიეს გადასახადისგან. მეჰმედ ბეგმა ბეგლარბეგისგან ბარათი მიიღო, რომლის თანახმად გადასახადები ვიღაცეეებისთვის უნდა გადაეცათ. ამაზე თესქერეს ბერათი გაიცა .

დავთრის 24 და 25 გვერდებზე წარმოდგენილია იმ 106 სოფლის სახელები, რომლებიც სიმონ ქართლის მეფემ ოსმალო· ხელისუფალთ გადასცა. ამ სიას თან ახლავს სიმონ ქართლის მეფის პატარა მინაწერი, სადაც იგი ოსმალო ხელისუფალთ აუწყებს ამ 106

სოფლის ბოძების თაობაზე და გლეხების მორჩილებისკენ მოუწოდებს. ყველა ეს სოფლები რეგისტრირებულია დავთარში. იგულისხმება, რომ იგი ამიერიდან ოსმალო ხელისუფალთა განკარგულებაშია. მას ოსმალო მოხელეები განაგებენ. აწი ბრძანება და განკარგულება სულთნის ნებაა. აქვე ხელს აწერს სიმონ ქართლის მეფე.

დავთარში ჩამოთვლილია ყველა თიმარისა და ზიამეთის მფლობელი მუსლიმის სახელი. აშკარად ჩანს , რომ ოსმალობა ძალიან შორს წასული მოვლენაა მთელს ტაო-კლარჯეთში.

მომდევნო წყარო რომელიც შესულია ხსენებულ მონოგრაფიაში ესაა მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი, რომელიც ასევე მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრისაა. მართალია წყაროს თარიღი არსად არ უზის, მაგრამ იგი ნამდვილად XVI საუკუნისაა და იმავე პროვინციებს მოიცავს, რასაც წინა წყარო. დავთარი შედგება 145 გვერდისგან. მისი შიფრია 669 წყარო უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად, მისი გაანალიზების საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს სოციალ-ეკონომიკური ისტორიის, პოლიტიკური ისტორიის, ლინგვისტიკის, ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიისა და სხვა მრავალი საკითხი.

დავთრის სხვადასხვა გვერდზე არაერთი მინაწერია. იგი ეხება საზალზოსტნე ნაკვეთებს, მათ მფლობელებსა და მათზე გაწერილ გადასახადებს. აქვე არაერთი მინაწერია მიწისმფლობელობის საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ვრცელი ხშირი მინაწერებისა არის ოსმალური გადასახადებიც, კერძოდ ჩამოთვლილია მათი სახეობანი. ისეთები როგორიცაა ბენაქი, მუჯერედი, ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, მურახხასიეზე, ფუტკარზე, იონჯასა და თივაზე, წისქვილზე, ბადიჰავასა და არუსანეზე, დასახელებულია მათი რაოდენობა ქილებით. შემდეგ ამ ოსმალურ გადასახადებს მოსდევს მინაწერები. მათში საუბარია ბეით ალ მალიზე, ფოცხვერის ტყავზე, მურახხასიეზე, ცხვრის გადასახადზე, თიმარებსა და ზიამეთებზე, მათ მფლობელებზე. საუბარია დამღაზე, სამღებროებზე და სხვაზე, აქვეა დასახელებული გადასახადთა ოდენობაც.

დავთარში საგანგებოდაა აღწერილი თითოეული სოფლის მკვიდრთა ოდენობა, გადასახადები, არის მთელი რიგი

მინაწერებისა, რომლებშიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ყოველგვარი ინფორმაცია ამა თუ იმ სოფლის თაობაზე.

დავთარში ნახსენებია მოსახლეობისგან ცარიელი სოფლებიც.

შემდეგ დავთარში საუბარია: მზვარეს, ჩრდილის, ხოჯევანისა და გერმუჯექის ნაჰიეებზე.

მამირვანის ლივა შედგება ორი ნაჰიესაგან, მამირვანისა და ახას ნაჰიეებისგან და მცირე არტაანის : მზვარეს , ჩრდილის, ხოჯევანის, გერმუჯექის ნაჰიეებისგან. ხსენებულ დავთარში ფართოდაა წარმოდგენილი მრავალმხრივი ინფორმაციები. იგი არაერთი საკითხის შესახებაა საინტერესო საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც.

მომდევნო დოკუმენტად კრებულში წარმოდგენილია „მამირვანის ლივა გურჯისტანის ვალაიეთში". ოსმალური ტექსტი - დედანი, მცირე შესავლითა და სრული ქართილი თარგმანით. წყაროს შიფრია 1035. თარიღი არსად არ უზის. არც თუღრა აქვს. არც კანონთა წიგნი ერთვის. იგი წარმოადგენს ხალხის აღწერის ვრცელ დავთარს. შეიცავს 123 გვერდს. ძეგლი დაწერილია მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

მამირვანის ლივაში შედის ახას ნაჰიე. შემდეგ წარმოდგენილია თორთუმის ლივა, რომელშიც გაერთიანებულია ლაქსავის, აჰჩერექის, ხახოს და იშხანის ნაჰიეები. ფერთეგრეთის ნაჰიე ლივანას ლივაშია გაერთიანებული.

გურჯისტანის ვილაიეთში შემავალ მამირვანის ლივაში 376 კომლია გაერთიანებული. მოსახლეობა განფენილია 20 სოფელში. აქვეა გადასახადები ციხის მცველებზე. თიმარის სიფაჰებზე. ბოლოს ჩამოთვლილია 28 სოფელი, რომელიც ცარიელია მოსახლეობისაგან. მათაც მართებთ გარკვეული ოდენობის გადასახადის გადახდა.

ახას ნაჰიეში წარმოდგენილია 10 სოფელი. კომლთა საერთო რაოდენობაა 180. მოსახლეობისაგან ცარიელია 32 სოფელი. ადგილობრივი მოსახლეობა კეთილსინდისიერად იხდის საოსმალო გადასახადებს.

ჩამოთვლილია გადასახადები ცხვარზე, დამლაზე, ბაზრის ბაჟებზე, ცხენზე, ხარზე, ბადიჰავასა და არუსანეზე, დეშთიბანზე, შევარდენსა და სხვა გარეულ ფრინველზე. ნაჩვენებია შემოსავალი იავასა და კაჩკუნზე, იალალებზე, მალი გაიფსა და მალი მეფკუდზე.

შემდეგ წარმოდგენილია ლასქავის ნაჰიე თორთუმის ლივაში, მასში გაერთიანებულია 489 კომლი, სულ ლასქავის ნაჰიეში 12 სოფელია.

მომდევნო აჰჩერექის ნაჰიეში 585 კომლია გაერთიანებული. მხოლოდ ოთხი სოფელია ცარიელი მოსახლეობისგან. აჰჩერექის ნაჰიეში წარმოდგენილია 14 სოფელი დასახლებული პუნქტებით.

შემდეგი რეგიონია ხახოს ნაჰიე თორთუმის ლივაში. მასში წარმოდგენილია 23 სოფელი 813 კომლით. მხოლოდ ორი სოფელია ცარიელი მოსახლეობისაგან, მაგრამ ორივე სოფელი დაბეგრილია გადასახადებით. ხახოს მომდევნო ნაჰიეა იშხანის ნაჰიე. იშხანის ნაჰიეს სოფლები მთლიანად ცარიელია მოსახლეობისგან, ყველა სოფელზე შეწერილია გადასახადები.

ბოლოს წარმოდგენილია ფერთეგრექის ნაჰიე ლივანას ლივაში. მასში 15 სოფელია. მთელ ნაჰიეში 393 კომლია. მოსახლეობისგან ცარიელი სოფელი არაა.

დავთრის ბოლო გვარდზე საუბარია მუქათაას სახით გაცემულ გადასახადებზე. დავთარში წარმოდგენილია მრავალი სახის ოსმალური გადასახადი, რომელთა საგანგებო შესწავლა ხელს შეუწყობს ოსმალური საგადასახადო სისტემის უკეთ გაცნობას. დავთარში მრავალი ოსმალური გადასახადია წარმოდგენილი.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება ერთ-ერთი საუკეთესო წყარო მცირე არტაანის ისტორიის საკითხების წარმოსაჩენად. დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით ამ რეგიონის წარსულის შესახებ, ძეგლი შედგენილია სულთან მეჰმედ მეოთხის დროს \1648-1687\. დავთარს თან ახლავს თუღრა. მისი შიფრია 807. იგი 128 გვერდისგან შედგება. იგი შედგენილია 1677 წელს. დავთარი იძლევა ცნობებს მოსახლეობის განლაგების, სოფელთა რაოდენობის, თიმარების ისტორიის საკითხების გასათვალისწინებლად, მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადებისა და წილის რაოდენობის თაობაზე.

შემდეგი ბოლო დავთარია ფასინის, თორთუმის, ჩილდირის, ახალქალაქის, მამირვანის, მიჯინკერტის, ისპირის, ახალციხის, ფოცხოვის და სხვა პროვინციების შესახებ. იგი იჯმალ, მოკლე დავთარია. მისი შიფრია „მალიედენ მუდევვერ" 41. მასში აღწერილია 1116-1150 წლების ამბები \1704-1737\. დავთარი საკმაოდ დიდია, იგი 126 ფურცელია. დოკუმენტი მთლიანად ამოკითხულია. დავთარში საუბარია მამულების

თანამონაწილეობით ფლობის თაობაზე. აქვე წარმოდგენილია თიმარები და ზიამეთები. წყარო უთუოდ პირველხარისხოვანია. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა XVIII საუკუნის პირველი მესამედის ტაო-კლარჯეთის ისტორიისთვის. აღნიშნული წყაროს ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა უთუოდ საჭირო საქმეა.

ასეთია ძალიან მოკლედ იმ წყაროების ანოტაცია, რომელიც მზადაა გამოსაქვეყნებლად, იგი ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: **მირიან მახარაძე**

შესავალი

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ხუთი ოსმალური დოკუმენტური წყარო, რომელიც ეხება XVI-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის ისტორიის არაერთ საკითხს. წყაროები მრავალმხრივაა საინტერესო, იგი ძვირფასია სოციალ-ეკონომიკური ისტორიის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად. არის ხალხის აღწერის ვრცელი და მოკლე დავთრები.

აქვე პირველ დოკუმენტად ვაქვეყნებთ 1574 წლის მცირე არტაანის ლივის დავთარს დედანთან და ქართულ თარგმანთან და მცირე შენიშვნებთან ერთად.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება მეტად საინტერესო დავთარი არტაანისა და ყარსის ლივის შესახებ. დოკუმენტის შიფრია: 527. მისი ზომაა 41X29.5 სმ. დოკუმენტი შედგება 156 გვერდისგან. დანარჩენი გვერდები ყარსის ლივას შეეხება. მცირე არტაანის ლივა შედგება ჩრდილის, მზვარეს, გერმუჯექისა და ხოჯავანის ნაჰიებისგან. ყარსის ლივა მოიცავს ვირიშანისა და დოშქიას ნაჰიეებს. დავთრის შედგენის თარიღად მითითებულია 1574 წლის 23 მარტი. შესავალში საუბარია ალაჰისადმი მიმართვაზე, მაღალი ღვთაების მფარველობაზე, დავთრის შედგენაზე და სხვა. მეორე სვეტზე საუბარია არზრუმის ბეგლარ-ბეგისადმი გაგზავნილი ჰუქმის თაობაზე. მანვე გამოგზავნა ბეჭდიანი დავთარი, რომელიც მცირე არტაანის სანჯაყს შეეხებოდა. ამ დავთარში რეგისტრირებული იყო 134 სიფაჰი. მათ, ბერათების თანახმად, ბერათების განახლების თესქერეები ებოძათ.

დავთარში აქვეა ჩართული ორი პატარა დოკუმენტი, რომლებიც დავთრის შედგენიდან ერთი წლის შემდეგაა შედგენილი. ორივე დოკუმენტს ერთი და იგივე თარიღი ახლავს. ერთი დოკუმენტი არზრუმის ბეგლარ-ბეგისადმია გაგზავნილი, მეორე კი არტაანის ბეგლარ-ბეგისადმი. პირველ დოკუმენტში საუბარია არზრუმის ბეგლარ-ბეგის მიერ ბეჭდიანი დავთრის გამოგზავნის თაობაზე.[1]

---

[1] წერილი დაიბეჭდა ქართული დიპლომატიის 13-ე წიგნში. ნოდარ შენგელია. 1574 წლის მცირე არტაანისა და ყარსის ლივის დავთარი, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 13. 2007წ. გვ.371-377

მეორე დოკუმენტის მიხედვით მცირე არტაანი მეჰმედ ბეგს ებოძა. მან დაიკავა გარკვეული ადგილები და მოახერხა თიმარის მითვისება. მან უშრის მეათედი არ აიღო იმისთვის, რომ განთავისუფლებულიყო ვალდებულებებისა და თექალიფი ურფიეს გადასახადისგან. მეჰმედ ბეგმა ბეგლარბეგისგან ბერათი მიიღო, რომლის თანახმად გადასახადები ვილაცეებისთვის უნდა გადაეცათ. ამაზე თესქერეს ბერათი გაიცა .

დავთრის მომდევნო მეათე გვერდზე საუბარია რეგისტრირებულ თიმარზე მცირე არტაანის ლივაში. აქვე ჩამოთვლილია ყველა თიმარის სახელწოდება, მათზე მიწერილი გადასახადების ოდენობით. კერძოდ საუბარია მზვარეს ნაჰიეში არსებულ თიმარებზე. მათი რაოდენობა 30-ია. აქვე მითითებულია თიმარის მფლობელის სახელიც, სოფლის სახელები და მათზე გაწერილი გადასახადების ოდენობა.

მზვარეს ნაჰიეს მოსდევს ჩრდილის ნაჰიე, რომელშიც გაერთიანებულია 89 თიმარი. მითითებულია თიმარის მფლობელთა სახელები და თითოეულ თიმარზე შეწერილი გადასახადების ოდენობა. ჩრდილისა და მზვარეს ნაჰიეებში სულ 119 თიმარია გაერთიანებული

ბოლოს მითითებულია გერმუჯექის ნაჰიე, რომელშიც 101 თიმარის მფლობელია წარმოდგენილი. ამით მთავრდება თიმარის მფლობელთა ჩამოთვლა, მათი შემოსავლების ჩვენებით.

დავთრის შემდეგ გვერდზე მითითებულია მხოლოდ ყარსის ვაკანტური ლივის თაობაზე. მთელ გვერდზე მიწერილია მხოლოდ ერთი წინადადება. ყარსის ლივის მემკვიდრეობა ცარიელია მოსახლეობისგან.

ყარსის ლივა წარმოდგენილია დოშქიას ნაჰიეში. მასში გაერთიანებულია 21 სოფელი. საერთო შემოსავალია 139547 ახჩა. მას მოსდევს ვირიშანის ნაჰიე. აქ წარმოდგენილია 10 სოფელი, რომელთა საერთო შემოსავალია 195247 ახჩა. აქვე მეორე სვეტზე გაკეთებულია პატარა მინაწერი, რომ ძველი იჯმალის საფუძველზე სიფაჰები არაა წარმოდგენილი და არსებული სოფლები ცარიელიაო. დანარჩენი სოფლებიც აღწერილ იქნა და დანაწილდა.

მათზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. სასაზღვრო ადგილებიც გავერანებულია. ეს ადგილები ახალ დავთარში არ შეუტანიათ.

მომდევნო 24-ე და 25-ე გვერდებზე წარმოდგენილია იმ 106 სოფლის სახელები, რომლებიც სიმონ ქართლის მეფემ ოსმალო ხელისუფალთ გადასცა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სოფლების აქ ჩამოთვლა. სოფლები დაყოფილია შემდეგ ნაჰიეებად.

პირველად წარმოდგენილია გორის ციხის სოფლები. ესენია:

1. ურბნისი
2. რუისი, მეორე სახელი უზუნ ქოი
3. სასირეთი
4. საქაშითი
5. თავათუბანი
6. ვარიანი
7. ზემო ახალთია
8. ქვემო ახალთია
9. არაშენდა
10. ახალშენი
11. გორის კითი
12. ჯიგრაშენი
13. ბიდაბითი
14. შულნითი
15. დირბუქი
16. დიკა
17. გორაჯვარი
18. კარალეთი
19. თორტიზა
20. კილთუბანი
21. რამსუბისი
22. შაშვები
23. ნაწრეტი
24. ნადარბაზევი
25. ავაზანი
26. საბადარა
27. დილქლუდაში
28. იკორთა
29. გრაკალი
30. ხიდისთავი
31. ქვაშავი
32. ქვახვრელი
33. აგარა
34. მოხისი
35. გრრისა

სულ 35

თბილისის ციხის გარშემო:

1. საბურთალო
2. ლურჯი მონასტერი
3. წყნეთი
4. ვეძისი
5. წავკისი
6. დაბალმელიქი
7. ზემო თელეთი
8. ქვემო თელეთი
9. კუმისი – სახასო მამული – 5.
10. კრწანისი
11. შინდისი

12. დილომი–სახასო, მამული – 5
13. ლისი
14. თხილვანა
15. წოდორეთი
16. ორბეთი

საერთო რაოდენობა – 16

დმანისის ციხის გარშემო:

1. კიზილკია
2. ბაკა
3. გორისხული
4. თევდორიანი
5. ბაშალიხი
6. შაჰმირლეთი
7. ოქუნქურუმი
8. კირქვოვანი
9. მირაბდალი
10. შუა ქამი
11. დირანე
12. გორინჯაქი
13. გეგერიანი
14. ვარდისუბანი
15. ჩანჯუხური
16. ალთუნჯი ქენდი
17. ბიუქდუმანისი
18. არმანისი
19. მირავისი
20. ლაქლაქაშენი
21. ზემო თავქუდი
22. ქვემო თავქუდი
23. ვარზაქარა
24. ანგირვანი
25. შმაგირა
26. კალემშაჰი
27. მიჯა
28. თექნა
29. ესკიდუმანისი
30. ბესლეთი
31. ახალშენი
32. გუბულენი
33. დილმაშენი
34. ქალდო

ჯამი, სოფლის რაოდენობა 34.

ლორის ციხის გარშემო:

1. ლიჯანი
2. დერმატოსი
3. აგარაკი
4. აშქანიქი
5. იაქდანიქი
6. ოჰანისი
7. ზემო კაკისი
8. ქვემო კაკისი
9. ალაქი
10. ამირ აქუზი
11. ჯიგრაშენი
12. აგარაკი
13. ისიქენდი
14. ვართაბლური
15. გიდათი
16. ზემო ვაჰაგითი
17. ქვემო ვაჰაგითი
18. თამიშგუდი
19. ზურგინჩი
20. გერგერი

ჯამი სოფლების – 20

ამ სიას თან ახლავს სიმონ ქართლის მეფის პატარა მინაწერი, სადაც იგი ოსმალო ხელისუფალთ აუწყებს ამ 106 სოფლის ზოძების თაობაზე და მორჩილებისკენ მოუწოდებს. ეს სოფლები ყველა რეგისტრირებულია დავთარში. იგულისხმება, რომ იგი ოსმალო ხელისუფალთა განკარგულებაშია. მას ოსმალო მოხელეები განაგებენ. ამ ტერიტორიების თაობაზე ცნობა გაგზავნილია ოსმალო ხელისუფლებისადმი. ამ სოფლების გლეხების და აზნაურების ბედი ამიერიდან დამოკიდებულია ოსმალეთის ხელისუფლებისადმი. ანი ბრძანება და განკარგულება სულთნის ნებაა. აქვე ხელს აწერს სიმონ ქართლის მეფე.

მომდევნი გვერდზე წარმოდგენილია თუღრა სელიმ სულეიმანის ძისა. სელიმ II-ის (1566-1574) შესახებ თუღრა ასე იკითხება: „სულთან სელიმ ხანი,სულეიმან ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული".

შემდეგ იწყება თითოეული ლივის განხილვა თიმარებისა და ზიამეთების წარდგენით. საუბარია მათ შემოსავლებზე. დავთარი იწყება მცირე არტაანის ლივით. გადმოცემულია, რომ ხსენებული ლივის ხასის შემოსავალი შეადგენს 2000 ახჩას. ასევე წარმოდგენილია სიფაჰებისა და სიფაჰი ზადეგანების არუსანეს შემოსავალი წელიწადში 2000 ახჩას ოდენობით. საერთო ჯამი 4000 ახჩა.

შემდეგ საუბარია მცირე არტაანის მირლივას მეჰმედ ბეგის ხასებზე. წარმოდგენილია მზვარეს ნაჰიე, აქ დასახელებულია შვიდი სოფელი თავისი შემოსავლებით. საერთო ჯამია 38000 ახჩა.

მზვარეს ნაჰიეს მოსდევს ჩრდილის ნაჰიე ხსენებულ ლივაში, მასში წარმოდგენილია 11 სოფელი თავისი შემოსავლებითა და წილით. საერთო რაოდენობაა 63000 ახჩა. მას მოსდევს ხოჯევანის ნაჰიე, რომელშიც წარმოდგენილია 6 სოფელი თავისი შემოსავლებით. ამ სოფლების შემოსავლების საერთო ჯამი შეადგენს 45600 ახჩას.

არტანუჯის ლივაში ნახევარი ცხვრის გადასახადი პატიოსან ზაიმთა და თიმართა გამორიცხვით წელიწადში შეადგენს 5000 ახჩას.

შემოსავლები სამღებრო და შავ დამლაზე იჰსანსა და იჰზარიეზე, წელიწადში 4000 ახჩას.

შემოსავალი იალაღებზე ხსენებული ლივის სიფაჰთა თიმარებისა და ზაიმებისა წელიწადში 3000 ახჩაა.

სახალხო ხაზინის შემოსავლები თუ 10000-ზე ნაკლებია, სახასო ადგილების გამორიცხვით, გადახვეწილთა, დაკარგულთა, მოძებნილთა, გაქცეულთა და სხვათა ქონებაზე ხსენებულ ლივაში, წელიწადში გადახდებათ 1000 ახჩა.

ასევე იყო გადასახადი ფოცხვერის ტყავზე წელიწადში 400 ახჩა.

იყო აგრეთვე ხსენებული ლივის ნახევარი ბადიჰავასა და სიფაჰთა თიმარების არუსანეს პატიოსანი თიმარების ხარჯის გამორიცხვით, წელიწადში 7000 ახჩა.

ჯამი იყო 20400 ახჩა.

საერთო ჯამი 167000 ახჩა.

დავთარში შემდეგ ცალკე განხილულია არტაანის ლივაში შემავალი ნაჰიეები: მზვარეს, ჩრდილის და ბოლოს გერმუჯექის ნაჰიე. ჩვენც მივყვეთ ამ ლივების თანმიმდევრობას. აქ ლივები წარმოდგენილია თიმარების სახით. მთელი ნაჰიეები დაყოფილია სოფლებად. თითოეულ თიმარში გაერთიანებულია რამოდენიმე სოფელი, ნაჩვენებია თითოეული სოფლის შემოსავალი, მათი ჯამი და წილიც. შემდეგ დაჯამებულია თითოეული თიმარის ოდენობა ახჩებში.

მზვარეს ნაჰიე იწყება მეჰმედ ბეგის ძმის თიმარით, რომელიც ფლობს სამ სოფელს, მისი საერთო შემოსავალია 13500 ახჩა. შემდეგი თიმარი მეჰმედ ბეგის ძმას ეკუთვნის, რომლის შემოსავალია 11000 ახჩა. ხშირია თითო კომლიანი ოჯახებიც, რომლებსაც მკაცრად აქვს განსაზღვრული გადასახადები და ვალდებულებანი. არის რიგი სოფლებისა, რომლებიც გადასახადებს იხდიან დავთრის ხარჯის გამორიცხვით. ასეთი სოფელი არაერთია დავთარში. მზვარეს ნაჰიეში სულ წარმოდგენილია 68 თიმარი, მათგან ზოგიერთი დავთრისგან გამორიცხვით, თავისუფალია გადასახადთაგან. ჩვეულებრივ თითოეული კომლი დაბეგრილია შესაბამისი გადასახადებით. მერე დაჯამებულია თითოეული სოფლის გადასახადი, თითოეულ თიმარში შემავალი გადასახადი.

შემდეგი ნაჰიეა ჩრდილის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში, მასში წარმოდგენილია 164 თიმარი. არის ერთ სოფლიანი და მრავალსოფლიანი თიმარებიც. ამ ნაჰიეშიც არის სოფლები, რომლებიც გერმუჯექის ნაჰიეში შედიან, მაგრამ მიწერილები არიან ჩრდილის ნაჰიეში. აქვეა არაერთი სოფელი, რომლის ხარჯი დავთრისგან გამორიცხულია. ისე ყველა სოფელი იხდის გადასახადებიდან წილს და დაჯამებული აქვს ყოველ სოფელს

გადასახადთა ოდენობა. ასევეა თითქმის ყველა სოფელში, რომელიც კი ჩამოთვლილია მცირე არტაანის ლივაში.

ბოლო ნაჰიე არის გერმუჯექის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. მასში წარმოდგენილ ნაჰიეში რეგისტრირებულია 28 თიმარი, მკაცრადაა დადგენილი გადასახადების ოდენობა და წილი. ამ ნაჰიებშიც არის თიმარები, სადაც გამორიცხულია დავთრის ხარჯები.

ამრიგად, 1574 წლის მცირე არტაანის ლივის დავთარი საუკეთესო წყაროა ხსენებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად. მასში არაერთი რეალიაა აღნიშნული მხარის ზოგიერთი მოვლენის შესასწავლად. როგორც ვნახეთ, ნაშრომში წარმოდგენილია სიმონ ქართლის მეფის მიერ ჩამოთვლილი 106 სოფლის სახელწოდება, რომლებიც მან გადასცა ოსმალო ხელისუფალთ, აქვეა პატარა მინაწერიც, რომელიც იუწყება, რომ იგი ამ სოფლებს უბოძებს ოსმალო ხელისუფალთ.

მომდევნო დოკუმენტად კრებულში წარმოდგენილია მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი. აქვეა წარმოდგენილი ოსმალური ტექსტი, დედანი, მცირე შესავლითა და სრული ქართული თარგმანით.

მურად II-ის დროინდელი მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი შედგება: მამირვანის ლივის 41 სოფლისა, ახას ნაჰიეს 56 სოფლის, ხსენებულ რეგიონზე საუბარია დავთრის 77-ე გვერდამდე. შემდეგ დავთარში საუბარია მცირე არტაანის ლივაზე, მასში გაერთიანებულია: მზვარეს ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. აქ წარმოდგენილია 49 სოფელი. შემდეგ საუბარია ჩრდილის ნაჰიეზე ხსენებულ ლივაში, მასში გაერთიანებულია 96 სოფელი. შემდეგ მოდის ხოჯევანის ნაჰიე, რომელშიც შედის 55 სოფელი. დავთრის ბოლოს საუბარია გერმუჯექის ნაჰიეზე, რომელშიც გაერთიანებულია 22 სოფელი.

დავთარი შედგება 145 გვერდისგან. დავთრის შიფრია 669, ზომაა 28X41სმ. დავთარი უთარიღოა. დავთარი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. დავთრის პირველ გვერდზე წარმოდგენილია სულთნის თუღრა. თუღრას თან მინაწერი აქვს თარიღის სახით. აწერია 907 და მის ქვემოთ მიწერილია 122, რომელიც გადაშლილია.

წყარო უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგიონის მრავალი საკითხის შესამეცნებლად. იგი სოციალურ-ეკონომიკური

ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად საინტერესო ძეგლია. მისი შესწავლა გაანალიზების საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, პოლიტიკური ისტორიის, ლინგვისტიკის, ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, დიპლომატიკის, პალეოგრაფიის და სხვა მრავალი საკითხი.

მივყვეთ დავთრის აღნაგობის თანმიმდევრობას. დავთრის პირველ სოფლად დასახელებულია მამირვანის ნისთი რაბათი, რომელიც ახლოსაა სათესველ აგრაქთან და ქარქუდბედთან და ჰუდნაჯთან, რომელიც ექვემდებარება ხსენებულს. მასში წარმოდგენილია მხოლოდ 48 კომლი. მომდევნო სოფელში კი გაერთიანებულია 111 კომლი. აქვეა არაერთი მინაწერი, მინაწერები ეხება საბაღ-ბოსტანე ნაკვეთებს, მათ მფლობელებსა და მათზე გაწერილ გადასახადებს. მომდევნო გვერდზეც არაერი მინაწერია მიწათმფლობელობის საკითხებთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ მიწათმფლობელებად ამჯერად გვევლინებიან სომხური წარმოშობის პირები. არის ნახსენები ხაჩატურა და კირაკოსი. გარდა ვრცელი ხშირი მინაწერებისა არის აგრეთვე ოსმალური გადასახადებიც, ჩამოთვლილია მათი სახეობებიც, კერძოდ: ბენაქი, მუჯერედი, ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, მურახხასიეზე, ფუტკარზე, იონჯასა და თივაზე, წისქვილზე, ბადიჰავასა და არუსანეზე, დასახელებულია მათი რაოდენობა ქილებით. საუბარია წისქვილების რაოდენობაზე, საერთო შემოსავალზე, მათზე მიწერილ თვიურ გადასახადზე. შემდეგ ამ ოსმალურ გადასახადებს მოსდევს მინაწერები. მინაწერებში საუბარია ბეით ალ მალიზე, ფოცხვერის ტყავზე, მურახხასიეზე, ცხვრის გადასახადზე, თიმარებსა და ზიამეთებზე, მათ მფლობელებზე. ბადი ჰავასა და არუსანეზე. საუბერია დამღაზე, სამღებროებზე და სხვაზე, აქვეა დასახელებული გადასახადთა ოდენობაც.

შემდეგი სოფელია შექერლუ, რომელიც ექვემდებარება მამირვანს. იგი საკმაოდ დიდი სოფელი ჩანს. მასში გაერთიანებულია 221 სოფელი. აქვეა მინაწერი საბაღ-ბოსტნე ნაკვეთებზე, საიალაღო ნაკვეთებზე და სხვაზე. შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ოსმალური გადასახადი, მათ შორის გადასახადი ღორზეც. არის გადასახადი ბეზირხანეზეც, ერთი

თვალი, გადასახადი 60. აქვეა გადასახადი ბადიჰავასა და არუსინეზეც.

მას მოსდევს სოფელი ზემო კორფასი, ახლოსაა სათესველთან. ესეც ექვემდებარება მამირვანს. მასში წარმოდგენილია 41 კომლი. არის გადასახადები, კერძოდ, ხორბალზე, ქერზე, ისფენჯზე, ბოსტანზე, ფუტკარზე, თაფუ დეშთიბანზე, იონჯასა და თივაზე, იალაღზე, მურახხასიეზე, ცხვარზე, ბადიჰავა და არუსანეზე, აქვეა განსაზღვრული მათი ოდენობაც. ჯერ დაჯამებულია თითოეული სოფლისთვის განკუთვნილი გადასახადთა ოდენობა, შემდეგ ჩამოთვლილია ცალკეული გადასახადები თავისი ოდენობით.

მომდევნო სოფელია კიზილ ქილისა, რომლის კომლთა რაოდენობაა 56. აქვეა ოსმალური გადასახადებიც, კერძოდ ჩამოთვლილია თითქმის ყველა ოსმალური გადასახადი.

შემდეგი სოფელია ვართანუთი, ისიც ექვემდებარება მამირვანს. მასში წარმოდგენილია 64 კომლი. აქვეა ნახსენები მიწის ნაკვეთი, რომელიც ახლოსაა ჩაირთან, იგი ხსენებული სოფლის მცხოვრებთა მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად. შემდეგ საუბარია ყველა საოსმალო გადსახადზე, რაც ჩვეულებრივია ოსმალური მიწისმფლობელობისათვის, შემდეგ შეჯამებულია ყველა ოსმალური გადასახადი. იგი შეადგენს 7000-ს.

ასე გრძელდება დაუსრულებლივ. ჩამოთვლილია სოფლის კომლთა რაოდენობა, შემდეგ ნაჩვენებია საერთო ჯამი. კვლავ საუბარია ოსმალურ გადასახადებზე. ზოგან არის მინაწერი მიწისმფლობელობის საკითხზე. ხან თითქმის არაფერია ნათქვამი. მომდევნო მე-15 სოფელია ვასქენსური, რომლის მკვიდრთა რაოდენობაა 60 კომლი. იქვეა ორი მინაწერი, რომლის მიხედვითაც მიწა ეკუთვნის ვინმე ჰასან აბდალლაჰის ძეს და იძლევა გადასახადსა და ბეჰრეს. საერთო ჯამია 10500. შემდეგ ისევ ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები.

მომდევნო სოფელია სამალარი, რომელიც ახლოსაა სათესველ სურფელიქთან, ექვემდებარება მამირვანს. მასში წარმოდგენილია 101 კომლი. აქვეა ერთი პატარა მინაწერიც, რომლის მიხედვით მიწა ეკუთვნის ვინმე მუსტაფას, იხდის გამოსაღებსა და ბეჰრეს. გადასახადთა საერთო ჯამია 18000. ხშირია როდესაც მოსახლეობა იხდის გადასახადს ღორზე. მომდევნო სოფელია კუთარისი, საკმაოდ მომცრო სოფელია, მაგრამ იხდიან ყველა საოსმალო გადასახადს. მას მოსდევს სოფელი არსათი. სოფელი საკმაოდ

ღონიერია, მისი კომლთა რაოდენობა შეადგენს 142-ს. გადასახადთა საერთო ჯამია 18000. აქვეა ოსმალური გადასახადები ჩამოთვლილი. აქვეა დასახელებული ბოღაზი, რომელიც სოფლის მკვიდრთა მფლობელობაშია, მასზე შეწერილია 150 ახჩა. შემდეგ ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები და მცირე მინაწერებია. არის მიწის ნაკვეთი, რომლის მფლობელი სათესველთან ერთად ვინმე მუსტაფა სინანის ძეა, იგი იხდის გადასახადსა და ბეჰრეს, თანახმად შარიათის ჰუჯეთისა.

აქვეა მინაწერები მიწის ნაკვეთებზე, რომლის მფლობელები იხდიან გადასახადსა და ბეჰრეს. მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ მომცროა, მაგრამ საოსმალო გადასახადი მაინცაა შეწერილი სრულად.შემდეგი სოფელი საკმაოდ მოზრდილი ჩანს, მოსახლეობის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 132-ს. აქვეა ერთი პატარა მინაწერიც, რომლის მიხედვით მიწისმფლობელი იხდის გადასახადებს. მასზე შეწერილია გადასახადი 18000. აქვეა ოსმალური გადასახადებიც.ასეთივე სტანდარტული სახით მეორდება თითოეულ სოფელზე მონაცემები. შემდეგი სოფელია ბილთაქეთი, კომლთა რაოდენობა 65, საერთო ჯამია 10000. არის ჩვეულებრივი ოსმალური გადასახადები შეწერილი მთელს სოფელზე. მას მოსდევს სოფელი ოლურთისი. სოფლის მკვიდრთა ოდენობაა 95, გადასახადთა საერთო ჯამია 15000. აქვეა ოსმალური გადასახადებიც. ასევეა მთელ რიგ სოფლებზეც შეწერილი გადასახადები. ეს სოფლებია : ვანისი, კიზილ ქილისა, ქინღანი, ხანქი, გელენჰა, ქურქისი, ქიამჰისი, ქვემო დალჯექი, სურქანისი, ამ უკანასკნელში სულ ექვსი კომლია. აქვეა ოსმალური გადასახადების ჩამონათვალი. მას მოსდევს მინაწერები, საკმაოდ საინტერესო. შემდეგ დასახელებულია სოფლები რომლებიც ცარიელია მოსახლეობისგან. ასეთია 12 სოფელი, რომლის მოსახლეობა არაა დავთარში ფიქსირებული. არის რამდენიმე სოფელი, რომელიც აქვეა წარმოდგენილი და შედგება გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისგან და შეწერილია მათზე თითქმის ყველა საოსმალო გადასახადი და ვალდებულება. აქვეა აგრეთვე ორიოდე მოსახლეობისგან ცარიელი სოფელიც. სულ აღნიშნულ ლივაში წარმოდგენილია 44 სოფელი თავისი ყოველგვარი ოსმალური შესაძლებლობებით, გადასახადებით, მინაწერებით, საერთო გადასახადებით.

მამირვანის ნაჰიეში წარმოდგენილი სოფლების აღწერის შემდეგ დავთარში ნაჩვენებია ახას ნაჰიე თავისი 63 სოფლით. პირველი სოფელი ახას ნაჰიეში არის ახა, რომელიც ახლოსაა ძველ ახასთან, კომლთა რაოდენობა 151. აქვეა ჩამოთვლილი საოსმალო გადასახადები, მათ შორის არის გადასახადი ბეზირხანეზე. არის მინაწერიც, იგი ეხება მიწისმფლობელთა საკითხებს. გარკვეული ტერიტორიების მფლობელი იმთავითვე იყო არამუსლიმი. იგი ვალდებული იყო ეხადა ყველა სახის გადასახადი, ამიერიდან ევალება იხადოს ყველა გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოდ. აშკარაა, რომ პირველი სოფლის კომლთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. მომდევნო სოფელია კანზურილი, რომელიც ახლოსაა სათესველ დუქი ხაქთან, ექვემდებარება ახას კომლთა რაოდენობაა 126. შემოსავლის საერთო ჯამია 14000. იგი იხდის ყველა საოსმალო გადასახადს. მას მოსდევს საკმაოდ ღონიერი სოფელი თოდრანი, იგი ახლოსაა სათესველ კარნიარიქთან, კომლთა საერთო რაოდენობაა 117. აქვეა პატარა მინაწერიც მიწის მფლობელობასან დაკავშირებით. საერთო შემოსავალია 14500. მომდევნო სოფელი ქაქლუმი უფრო მომცროა. აქ სულ 38 კომლია. საერთო შემოსავალია 7000. იხდის ოსმალურ გადასახადებს.შემდეგი სოფლები უფრო მომცროა, არის ჩიფთლიქებიც, ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა სომხურია, ნახსენებია სომხური სახელები, პეტროსი, აკოფა, არაქელა, ოჰანესა და სხვა სახელები. მიწა არაქელასი ახლოსაა ბოსტანთან, იხდის გამოსაღებსა და ბეჰრეს. ასეა მრავალჯერ . საერთო შემოსავალია 10000. წისქვილი კირაკოზისა და ტოროსისა. ასეა წისქვილები: დევლეთიარისა და გასპარისა, არაქელისა და ოჰანისა.

საკმაოდ დიდი სოფელია აიდი, რომელიც ახლოსაა სათესველთან, ექვემდებარება ახას. აქვეა ველები და საიონჯე ადგილები, რომლის მფლობელია ნაზარ მეჰმედის ძე. შარიათის ჰუჯეთის თანახმად იხდის გამოსაღებსა და ბეჰრეს. ასევეა საბაღე და სავენახე ადგილები, რომლის მფლობელები არიან მეჰმედი და ოსმანი, ისინი მირ ალი ბეგის შვილებია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად იხდიან გამოსაღებსა და ბეჰრეს. მსგავსი შემთხვევები ხშირია. საერთო შემოსავალია 13000. იხდიან ყველა საოსმალო გადასახადს. უფრო მომცრო სოფელია ბაქიღი, მასში წარმოდგენილია 32 კომლი. საერთო შემოსავალია 6000. იხდიან ყველა ოსმალურ გადასახადს. მომდევნო სოფელი საკმაოდ

დამცრობილია, მისი სახელია იონჯალიქი, მასში მხოლოდ 23 კომლია გაერთიანებული. არის გადასახადები. დანარჩენი სოფლები თითქმის ყველა პატარაა, გადასახადები ყველას მართებს. არის მინაწერები სადაც საუბარია მიწისმფლობელობაზე, მფლობელები იხდიან გადასახადსა და ბეჰრეს, თანახმად შარიათის ჰუჯეთისა. არის ჩიფთლიქიც. არის სათესველებიც მიწის ნაკვეთებთან ერთად, მფლობელები იხდიან დაწესებულ გადასახადს. საკმაოდ პატარა სოფელია ფერთეგრექი, რომელიც ექვემდებარება ახას. აქვეა მიწის ნაკვეთები , რომლებიც დადგენილ გადასახადებს იხდიან. ასევე იხდის გადასახადს მირალაი მეჰმედ ძე ფირკულისა. აქვეა ჩიფთლიქი მოხსენიებული, რომლის მფლობელია შაჰ ვერდი და ოსმან ჰასან ბეგის ძენი, თანახმად შარიათის ჰუჯეთისა იხდიან ყოველგვარ გადასახადს.დავთრის მომდევნო გვარდზეც არის საუბარი ჩიფთლიქებსა და მიწის მფლობელობაზე. ესენიც დადგენილი კანონის მიხედვით იხდიან ყოველგვარ გადასახადებს, დადგენილს სახელმწიფოს მიერ. მიწათმფლობელად კვლავ სომხები გვევლინებიან.სარქისის შვილები ფლობენ მიწის ნაკვეთებს და იხდიან გადასახადებს.შემდეგი ჩიფთლიქების მფლობელები არიან მუსტაფა ჰასანის ძე, რომელიც კეთილსინდისიერად იხდის გადასახადსა და ბეჰრეს. სოფლები საკმაოდ პატარებია. არის ჩიფთლიქი, რომლის მფლობელია ფირიდა და ეროზი ზაიმი მეჰმედის ძენი. შარიაათის ჰუჯეთის თანახმად იხდიან გამოსაღებსა და ბეჰრეს. ამ შემთხვევაში ჩიფთლიქის მფლობელია თურქული სახელის მატარებელი პირები. კომლთა რაოდენობა სოფლებში კვლავ მცირეა. გადასახადებიც ერთგვაროვანია.

მომდევნო რვა სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან. მითითებულია მხოლოდ გადასახადთა ოდენობა. მიწა ტერტერასი, ქულ ბაქი მელიქის მფლობელობაში, თანახმად შარიათის ჰუჯეთისა იხდის გადასახადსა და ბეჰრეს. ასევეა რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომლის მფლობელებიც იხდიან გადასახადსა და ბეჰრეს.

მომდევნო გვერდზე დავთრისა არის ჩიფთლიქები, რომელთა მფლობელებიც იხდიან გადასახადსა და ბეჰრეს. აქვეა მოსახლეობისგან ცარიელი სოფლები, რომელთაც მიწერილი აქვთ გარკვეული რაოდენობის გადასახადები. კერძოდ მოსახლეობისგან ცარიელია 9 სოფელი.

შემდეგ წარმოდგენილია სამეუფეო ხასები. აქვეა მამირვანის ხასების შემოსავალი წლიურად 1800. საუბარია სიფაჰთა თიმარების

შემოსავალზე, სიფაჰთა არუსანესა და ზადეგანებისა და მასთან ახლოს მდებარე მუსთაჰფაზების, აზაბანების თაობაზე მამირვანის ციხეში. მათი შემოსავალია წლიურად 1000. შემოსავალი ხსენებლ ლივაში არნივებსა და სხვებზე წლიურად 1200.

შემდეგ დავთარში წარმოდგენილია: მზვარეს, გერმუჯექის, ჩრდილისა და ხოჯევანის ნაჰიები. ყველა ესენი მცირე არტაანის ლივაშია გაერთიანებული: შევეხოთ ცალცალკე თითოეულ მათგანს.

მზვარეს ნაჰიეში წარმოდგენილია 49 სოფელი. სოფლები პატარპატარაა. მოსახლეობის რაოდენობა მცირეა. ოსმალური გადასახადები სრულადაა წარმოდგენილი. არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლებიც. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იხდის ბენაქის გადასახადსაც. ნაჰიეს 49 სოფლიდან მოსახლეობისაგან ცარიელია 27 სოფელი. თითოეულ მათგანზე გაწერილია საკმაოდ დიდი რაოდენობის გადასახადი. მთელი ნაჰიეს ნახევარზე მეტი მოსახლეობისაგან დაცლილია.

შემდეგ მოდის ჩრდილის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. მოსახლეობა თითქმის ყველა სოფელში მცირერიცხოვანია. არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლებიც. ისფენჯის ნაცვლად ყველგან ბენაქი და მუჯერედის გადასახადია წარმოდგენილი. ყველგან ერთი და იგივე გადასახადები მეორდება თითქმის. ზოგჯერ მუჯერედსა და ბენაქთან ერთად მეორდება ისფენჯის გადასახადიც. ზოგიერთ სოფელზე არის გადასახადი ღორზეც. ჩრდილის ნაჰიეს 96 სოფლიდან 37 ცარიელია მოსახლეობისაგან.თითოეულ მათგანზე შეწერილია გადასახადი.

მომდევნო ნაჰიეა ხოჯევანის ნაჰიე მცირე არტაანის ლივაში. 55 სოფლისგან ამ ნაჰიეში 40 სოფელი ცარიელია მოსახლეობისგან. გადასახადი აქაც ოსმალურია, არის ბენაქის გადასახადიც, მოსახლეობა იხდის ყველა დადგენილ საოსმალო გადასახადს. არის ერთი მინაწერი, რომლის მიხედვითაც, მიწის მფლობელი არის ვინმე იაყუბ ძე ალისა, რომელიც იხდის გადასახადსა და ბეჰრეს. სხვა მხრივ განსხვავება სხვა ნაჰიეებისგან არაა. მთავარი ისაა , რომ 55 სოფლიდან ორ მესამედზე მეტი სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან.

ბოლო ნაჰიე გერმუჯექის ნაჰიეა მცირე არტაანის ლივაში. მასში წარმოდგენილია სულ 20 სოფელი, ამათგან 7 სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან. მოსახლეობა ძალიან მცირერიცხოვანია.

ოსმალური გადასახადები თითქმის სრულადაა წარმოდგენილი. აქვეა ცალკეულ სოფლებზე შეწერილი გადასახადები ისფენჯზე, რესმი ბენაქი და სხვა გადასახადები სულ 6000. ზოგიერთ სოფელზე შეწერილია დავთრის ხარჯები. ასეთი ხარჯები შეწერილია მთელ რიგ სოფლებზეც.

არის სასულთნო ხასები, რომლებზეც შეწერილია საფადიშაჰო გადასახადები. არის სახასო ბეით ულ მალები და დავთრის ხარჯები, არის აგრეთვე სიფაჰებისა და სიფაჰი ზადეგანებისთვის განკუთვნილი არუსანეს გადასახადები.

არის ხსენებული ლივის მირ-მირანის ხასებზე მიწერილი გადასახადები. ცხვრის ნახევარი გადასახადი ზაიმებისა და თიმარებისთვის წელიწადში 5000.

არის გადასახადები სამღებროების, შავი დამღას და სხვათა შესახებ წელიწადში 4000. არის გადასახადები იალაღებზე თიმარებსა და ზიამეთებზე ხსენებულ ლივაში, აქვეა დაანგარიშებული დავთრის ხარჯებიც წელიწადში 3000.

არის გადასახადები ბეით ულ მალიზე, ხასიდან 10000-დან, არის იავასა და კაჩკუნის გადასახადი, მალი გაიფზეა გადასახადი. არის მალი მეფკუდზე და სხვებზე ხსენებულ ლივაში წელიწადში 1000.

არის აგრეთვე ხსენებულ ლივაში სიფაჰების თიმარებზე ბადიჰავასა და არუსანეს გადასახადები. თავისუფალ თიმართაგან წელიწადში 7000. ასევე იყო გადასახადი წლიური ფოცხვერის ტყავზე 400.

ამრიგად, ასეთია მოკლედ მამირვანის ლივის ვრცელი დავთრის აღნაგობა. როგორც ვნახეთ იგი შედგება მამირვანის ლივის ორი ნაჰიესაგან. მამირვანისა და ახას ნაჰიებისა და მცირე არტაანის: მზვარეს, ჩრდილის, გერმუჯექისა და ხოჯევანის ნაჰიეებისგან. აღნიშნულ დავთარში ფართოდაა წარმოდგენილი აღნიშნულ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მთელი რიგი საკითხები. იგი არაერთი საკითხის შესახებაა საინტერესო საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც. იგი გაარკვევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ლინგვისტიკის, ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, სტატისტიკისა და სხვა ბევრ საკითხს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესახებ.

აქვე ვაქვეყნებთ მამირვანის ლივის ვრცელ დავთარს, რომელიც ასევე მეტად საინტერესოა მრავალი საკითხის შესასწავლად[2]. მას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული რეგიონის მრავალი საკითხის უკეთ შესამეცნებლად.

წყარო შედგება 123 გვერდისაგან. გამოცემის თარიღი უცნობია. მისი შიფრია 1035. დავთრის ზომაა 39X28 სმ. წყარო ძალიან საინტერესოა აღნიშნული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად.

დავთარი იწყება გურჯისტანის ვალიათის მამირვანის ლივის აღწერით. დავთარში მითითებულია მამირვანის ნაჰიეში შემავალი სოფლები: გიკანი, შექერდი, ოლურნუსი, არუსიდი, სუდქანისი, ხოჯა ალი ფიჰრი, ვართანუთი, სამაღარი, თასქისური, და სხვა. ჩამოთვლილია თითოეულ სოფელში მცხოვრებთა სახელები და მათზე გაწერილი გადასახადები და ვალდებულებანი.

დათვლილია ყველა სოფლის კომლთა რაოდენობა. სოფლებზე შეწერილი გადასახადების რაოდენობა შეესაბამება კომლთა რაოდენობას.

ზოგიერთი სოფელი დასახელებულია და არ არის ნაჩვენები მოსახლეობის სია და არც ცალკეული გადასახადების ოდენობა. მითითებულია მხოლოდ გადასახადთა საერთო ჯამი. არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლები, მაგრამ მათზე გადასახადები მაინც არის შეწერილი.

შემდეგ საუბარია ახას ნაჰიეში მამირვანის ლივაში, რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი სოფლები: თუდალენი, კარაღაჭი, ზემო ხურხური, აიდი, კონდახური, აშქელური და სხვა.

სოფელი ნახევარი ახა ახლოსაა ძველი ახას სათესველთან , კაზლი ბარუკთან, მდინარე კარლი ბარუკთან და ბაღლაკ დუთ თეფესთან. მასში გაერთიანებულია 73 კომლი. საკმაოდ დიდი სოფელია, ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები, რაც

---

[2] ნ.შენგელია, მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 13, თბილისი, 2007. გვ. 353-370; ხსენებული სტატია დაბეჭდილია რუსულად, იხ: Нодар Шенгелия, Пространный реестр Мамирванской ливы правления Мурада III /1574-1595/ стр. 243-248. Caucasica. The Journal of Caucasian Studies. Volume 7. 2003, Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Tbilisi University Press.

ჩვეულებრივია თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობისათვის, მხოლოდ ერთია განსხვავებული, ესაა სარუხანეს გადასახადი, რომელიც აქამდე განხილულ ოსმალურ გადასახადებში არ იყო მითითებული.

სოფელ თუდალენში გაერთიანებულია მხოლოდ სამი კომლი, მასზე არაა შეწერილი ოსმალური გადასახადები. იგი იხდის მხოლოდ 5000 ახჩას. სოფელი კარა ქალი კი იხდის ოსმალურ გადასახადებს. ამ სოფელში გაერთიანებულია 19 კომლი, სოფლის საერთო გადასახადია 10000 ახჩა.

სოფელი ზემო ხურხური იხდის საოსმალო გადასახადებს. მასში გაერთიანებულია ექვსი კომლი, მიუხედავად კომლთა რაოდენობის სიმცირისა მოსახლეობა მაინც იხდის საოსმალო გადასახადებს. ამ სოფლის საერთო გადასახადია 4094 ახჩა.

ასეთივე მდგომარეობაა მომდევნო სოფელშიც. მისი სახელია შურმარი, რომლის კომლთა რაოდენობაა ხუთი. სოფელი იხდის ოსმალურ გადასახადებს. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 6000 ახჩა. სოფელი აიდის კომლთა რაოდენობაა 19, ისინი იხდიან ჩვეულებრივ ყველა საოსმალო გადასახადსა და ვალდებულებას. გარდა არსებილი გადასახადებისა, ადგილობრივი მოსახლეობა იხდის აგრეთვე გადასახადებს წისქვილზე (გვ. 30) ჩიფთლიქზე უშრის სახით (გვ. 30).

შემდეგი სოფელია კონდახური, კომლთა რაოდენობა შეადგენს ოთხს. ოსმალური გადასახადებიც ჩვეულებრივია. ამ სოფელს მოსდევს სოფელი აშქელური, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს ექვსს. მოსახლეობა იხდის ყველა საოსმალო გადასახადს. შემდეგ ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებზეც შეწერილია მხოლოდ ოსმალური გადასახადები. ცალკე არაა ნაჩვენები თითოეული გადასახადის სახეობა. მხოლოდ ნაჩვენებია სოფლის სახელწოდება და რომელ რეგიონს ექვემდებარება ესა თუ ის სოფელი.

დავთრის მომდევნო გვერდზე კვლავ მოსახლეობისაგან ცარიელ სოფლებზეა საუბარი, სადაც მკაცრადაა რეგლამენტირებული გადასახადთა რაოდენობა (გვ. 34-40). მოსახლეობისგან ცარიელი სოფლების რაოდენობაა 37. მითითებულია მხოლოდ გადასახადების საერთო ოდენობა, ხოლო თუ რამდენს იხდის მოსახლეობა არაა ცნობილი, რამდენადაც მოსახლეობა აქ არაა წარმოდგენილი.

თორთუმის ნაჰიეში წარმოდგენილია შემდეგი სოფლები: ჰარქნისის რაბათი, ფოჯნისი, სუღდურეთი, ჩერბილი, მასრაქული, სუქურექი, კარნაუსი და სხვა. შემდეგი რეგიონია თორთუმის ნაჰიე. წარმოდგენილ სოფელთა შორის უპირველესია თორთუმის ჰაქნის რაბათი, იგი ახლოსაა სათესველ ამრუჯთან, თორთუმის კილისთან, ხაჩაჩკურთან და ოთასთან. ამ სოფელში გაერთიანებულია 74 კომლი. სოფელი საკმაოდ ღონიერია. მასზე შეწერილია საერთო ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი.ამ სოფლის საერთო გადასახადია 18000 ახჩა.

სოფელ ფოჯნისის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 76-ს. ესეც საკმაოდ დიდი სოფელი ჩანს. იგი ახლოსაა სათესველ ბასირნიქთან და ოსთანიშთან. სოფელი საღდურეთი ახლოსაა სათესველ მიკუს და სუფი იურდთან. მოსახლეობა 46 კომლისაგან შედგება. სოფელ ვანიქში გაერთიანებულია სულ 20 კომლი, სოფელი დანქარი 13 კომლისგან შედგება. აქვე ჩამოთვლილია ყველა ოსმალური გადასახადი, რომლის საერთო ჯამი შეადგენს 500 ახჩას. აქვეა სოფელი ჩერბილი, რომლის კომლთა რაოდენობა 35-ს შეადგენს. სოფელი მისრაქულის კომლთა რაოდენობაა 6. სუქურექი 12 კომლიანია. სოფელი კარნაუსი მხოლოდ 9 კომლიანია. აქვე ფიქსირებულია ჩიფთლიქი, რომლის მფლობელი იხდის უშურს. ყველგან გადასახადები, ჩვეულებრივ ოსმალურია.

აქვე წარმოდგენილია თორთუმის ლივის იჯარით გაცემული შემოსავლები, იჯარით გაცემულია თორთუმის ლივის მოსახლეობის ადგილები, რომლის რაოდენობა შეადგენს 20000 ახჩას. დადგენილია ცხვრის გადასახადი, რომელიც აიღება სამეუფეო ხასიდან. იგი შეადგენს სულ 15000 ახჩას.

ასევე დადგენილია გადასახადები შემოსავლებზე: შავ დამღაზე, ბაზრის ბაჟებზე, ცხენსა და ხარზე, ცხვარზე და ჯარიმები ზომა წონის ერეულებზე, თორთუმის მოსახლეობის შემოსავლებზე. მისი რაოდენობაა 2000 ახჩა.

ნიხრით დადგენილია აგრეთვე გადახდა გადასახადისა: ბაზ სურჰებისა, გაწვრთნილი დათვებისა, ფირლანებისა და არწივებისა, რომელთა ოდენობა 500 ახჩაა.

ასევე გადასახადია შეწერილი იავასა და კაჩკუნზე. ამ სახის გადასახადს იხდიან 3000 ახჩას ოდენობით. ასევე შეწერილია გადასახადები ხსენებული ლივის ციხეებსა და სიფაჰიზადეებზე. მალი გაიფისა და მალი მეფკუდის სახით იხდიან 5000 ახჩას

ოდენობით. ასევე შეწერილია გადასახადი მურახხასიეზე ჯიზია გაზრანი, თითოეულ კაცზე 2-2 ახჩა სულ შეწერილია 5000 ახჩა.

არაა მივიწყებული გადასახადები სამღებროების თაობაზე. მისი ოდენობა 2000 ახჩაა. არც ფოცხვერის ტყავზე არსებული შემოსავლის გადასახადია უგულვებელყოფილი. მისი გადასახადია 1000 ახჩა.

საერთოდ ამ საქალაქო და საბაზრო გადასახადების საერთო რაოდენობაა 58000 ახჩა. ჩანს, რომ ქალაქის მოსახლეობა დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადებზე ბაჟითა და სხვა ვალდებულებებით.

შემდეგ საუბარია ლასქავას ნაჰიეზე თორთუმის ლივაში. ლასქავას ნაჰიეში წარმოდგენილია სოფლები: ზემო ლასქავი, ქვემო ლასქავი, ნიხახი, ბინჰადი, ოშქი ქავი, საკნაჯური, ბარი, ქეჯნითი, ეგრექი. პირველი სოფელი ზემო ლასქავი საკმაოდ დიდი ჩანს, მისი მოსახლეობა შეადგენს 90 კომლს. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ადგილობრივი მოსახლეობა, ჩვეულებრივ, იხდის საოსმალო გადასახადებს.სოფელი ქვემო ლასქავი ახლოსაა სათესველ კარა არსლანთან, მასში წარმოდგენილია 52 კომლი. მოსახლეობა იხდის ყველა ოსმალურ გადასახადსა და ვალდებულებას.

სოფელი ნიხახი ახლოსაა სოფელ გელსურისთან. კომლთა საერთო რაოდენობა შეადგენს 75-ს. გადასახადები ჩვეულებრივადაა გაწერილი მოსახლეობაზე. გადასახადთა საერთო რაოდენობაა 15000 ახჩა.

სოფელი ბინჰადი ახლოსაა სათესველ გომარიქთან. სოფლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 15-ს. გადასახადები ჩვეულებრივ მხოლოდ ოსმალურია. სოფელ ბეშირ კვანისში გაერთიანებულია 17 კომლი. მას მოსდევს სოფელი ოშქი ქავი, რომლის კომლთა რაოდენობაა 38. მოსახლეობა ჩვეულებრივ იხდის საოსმალო გადასახადებს. სულ 5000 ახჩას. აქვე ორი სოფელია წარმოდგენილი, რომლებიც ცარიელია მოსახლეობისაგან და არ იხდიან საოსმალო გადასახადებს, თუმცა მათ მაინც შეწერილი აქვთ გადასახადთა საერთო რაოდენობა. პირველს – 3000 ახჩას ოდენობით, მეორეს კი – 1600 ახჩა.

დავთრის მომდევნო მე-60 და 61-ე გვერდებზე რამდენიმე სოფელია მითითებული, რომლის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 12-ს, 15-ს, 18-ს, იხდიან ჩვეულებრივ ოსმალურ გადასახადებსა და

ვალდებულებებს. აქ სიახლე არაა, თითქმის ყველა მოსახლე იხდის ისფენჯის გადასახადს.

აქვეა ერთი სოფელი საკნაჯური, რომელიც ცარიელია მოსახლეობისაგან, მაინც მასზე შეწერილია საერთო გადასახადი 7000 ახჩას ოდენობით. მისი სოფელი ხიზით ვურუქი წარმოდგენილია 46 კომლით, მას მოსდევს სოფელი ბაში, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 16-ს. გადასახადები ჩვეულებრივ, ოსმალურია. მისი საერთო გადასახადია მთელი სოფლისთვის 9000 ახჩა. სოფელი ქეჯნითი იხდის მხოლოდ 3000 ახჩას. მას არ ევალება საოსმალო გადასახადების გადახდა, რადგან მასზე იგი არაა შეწერილი. სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან. შემდეგი სოფელია ეგრექი,რომელშიც წარმოდგენილია 92 კომლი, მათზე მთლიანადაა შეწერილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ეს სოფელი იხდის საერთო გადასახადს 22000 ახჩას ოდენობით.

შემდეგ იწყება აჰჩერექის ნაჰიე თორთუმის ლივაში. მასში წარმოდგენილია სოფლები: ნისფი აჰჩერექ, ბაზგენჩური, ქირსენი, ახფურიქი, ჩაღრანისი, აი ქენაქი, ქოსა ქილისა, ნურსინი, ვარეშთირა, ზემო და ქვემო ქუქვანისები, არჯუნისი და სხვა.

პირველი სოფელია აჰჩერექი. ამ სოფელში წარმოდგენილია 35 კომლი. მთლიანად ეს სოფელი იხდის 9000 ახჩას. მომდევნო სოფელია ბაზგენჩური, კომლთა რაოდენობა 47. გადასახადები ჩვეულებრივ ოსმალურია.

მომდევნო სოფელია ქირსენი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 163-ს. აქვეა წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. აქვეა გადასახადე შირაზე, რომლის გადახდა ემართათ ადგილობრივ მკვიდრთ. იგი გაწერილია 1000 მანის სახით. იგი თითოეულ კაცზე გაიწერებოდა 4-4 მანის სახით. სულ გადასახდელი იყო 4000 ახჩა. აქვეა მოხსენიებული გადასახადი ცხვარზე – 2 ახჩა. სულ გადასახდელია 750 ახჩა. აქვე ნახსენებია ვენახის ორი გადასახადი. ყოველ წელს გადაიხდებოდა 40 ოსმანი. ასევეა რეგისტრირებული ვენახი თორთუმის ციხის ქათიბის – ჰაჯი აჰმედის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, მას მართებს გადაიხადოს ექვსი ქილიდან ერთ ნაკვეთზე წელიწადში 500 ახჩა. ამ დიდი სოფლის საერთო გადასახადია 20000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ახფურიქი, მასში წარმოდგენილია 32 კომლი. ამ სოფლის საერთო გადასახდელია 10000 ახჩა. მას

მოსდევს სოფელი ქისმანისი, მასში გაერთიანებულია 14 კომლი. სოფელი საერთოდ იხდის 7000 ახჩას. სოფელ ჩაღრანისის კომლთა რაოდენობაა 63. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ამ სოფლის საერთო გადასახდელია 7000 ახჩა. ადგილობრივ მოსახლეობაზე შეწერილია ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ამ სოფელს მოსდევს სოფელი არჯუსი, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს შვიდს. მისი საერთო გადასახადი 4000 ახჩაა.

სოფელ აიქენაქში წარმოდგენილია 47 კომლი. აქ ჩვეულებრივაა მოცემული ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. აქვე წარმოდგენილია ვენახი აბდალ აზაკისა ნისქვილით, ზეთსახდელი ქარხნით, ერთი ნაკვეთი საიონჯე მიწით, მათზე დაკისრებული იყო ყოველწლიურად 40 ოსმანი. ამ სოფლის საერთო გადასახადია 7000 ახჩა.

სოფელი ქოსა ქილისას კომლთა საერთო რაოდენობა შეადგენს 39-ს, სოფელ ვასბიქასში წარმოდგენილია 26 კომლი. აქვეა ოსმალური გადასახადები, მთელი სოფლის საერთო გადასახადია – 8000 ახჩა.

სოფელი ჯაშუჯი აერთიანებს 8 კომლს. არის ოსმალური გადასახადები, მაგრამ აქვეა გადასახადი ღომზე. იგი მოხსენიებულია სხვა ოსმალურ გადასახადებთან ერთად. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 7000 ახჩა.

დავთარში წარმოდგენილია სოფელი კანქიქი. იგი ახლოსაა სათესველ ვანქთან. ამ სოფლის გადასახადია 10000 ახჩა. მომდევნო სოფელია კინტირლი, რომელიც იხდის 2000 ახჩას. იგი ცარიელია მოსახლეობისაგან. მას მოსდევს სოფელი მურსინი, სადაც წარმოდგენილია 41 კომლი. გადასახადები ჩვეულებრივ, ოსმალურია. საერთო გადასახადია 8000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ვარეთ შირა, მასში 22 კომლია წარმოდგენილი. საერთო გადასახადია 4000 ახჩა. შემდეგ მითითებულია ზემო და ქვემო ქუქევანისების გადასახადთა თანხა. ზემო ქუქევანისი იხდის 3500 ახჩას. ქვემო კი – 2000 ახჩას.

შემდეგი სოფელია ნიხანანსი, იგი ცარიელია მოსახლეობისაგან, მაგრამ მასზე შეწერილია გადასახადი 1500 ახჩას ოდენობით. სოფელ არჯუნისში გაერთიანებულია შვიდი კომლი, მასზე შეწერილია გადასახადი 2000 ახჩას ოდენობით.

შემდეგ იწყება ხახოს ნაჰიე თორთუმის ლივაში. მასში წარმოდგენილია სოფლები: ნახევარი ხახო, ვანჯიქი, ონგუნექი,

აბრუნისი, ანისი, ბარასური, კალნუდი, სარბიფანი, ვირანკილი, აზვერეთი, ოფნეთი, ოთხთა, ვანქი ოშქი, ზენჯიქი, ხართიხა და სხვა.

პირველი სოფელია ნახევარი ხახო, მასში წარმოდგენილია 64 კომლი. ოსმალური გადასახადები აქ ჩვეულებრივადაა წარმოდგენილი, მაგრამ არის პატარა ცვლილება, აქ მოტანილია შირას გადასახადი, რომელიც მანობით იზომება. სულ დაწესებულია 2200 მანი, თითოელზე შეწერილია 4-4 მანი, სულ გადასახდელია 8800 ახჩა.

აქვეა რამდენიმე მიწის ნაკვეთის მეპატრონე, რომლებსაც ევალებოდათ გადასახადის გადახდა. ასე მაგალითად, კორკმაზის ბაღს მართებს 25 ახჩის გაღება. კიდევ ორი ნაკვეთი ვენახი თავხილისა და ფირზენდისა ახლოსაა ბაღთან, რომელიც ალი ბეგ ზულფიკარის ძის მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად ყოველწლიურად თითოეულს უნდა ეხადა 40 ახჩა.

შემდეგია სოფელი ვანჯიქი, იგი ახლოსაა სათესველ აგარაკთან და ოფსურთან. ამ სოფლის განკარგულებაში რეგისტრირებულია 88 კომლი. ამავე სოფელთან დაკავშირებულია მთელი სისტემა ოსმალური გადასახადებისა, რომელშიც რეგისტრირებულია აგრეთვე გადასახადი შირაზე. იგი იზომება მანობით, სოფელს მართებს გადაიხადოს 540 მანზე 4 – 4 ახჩა თითოეულზე. სულ გადასახადია 2160 ახჩა.

ჩამოთვლილი ოსმალური გადასახადების გვერდით დასახელებულია გადასახადები ვენახსა და საიონჯე მიწაზე. „ვენახი ზენათქარის, ერთი ნაკვეთი და საიონჯე მიწა კადირ კულის და თათარ ჰასანის მფლობელობაში, იმთავითვე თანახმად შარიათის ჰუჯეთისა დაწესებული იყო ყოველ წელს, თითოეულს გადაეხადა 25"., ანდა კიდევ: „ვენახი არგირისა ერთი ნაკვეთი, ვანის ძე თათარ ჰასანის მფლობელობაში, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დაწესდა ყოველწელს გადაიხადოს 25 ახჩა"

ჩანს , რომ ვენახების სხვადასხვა კატეგორიის მიწებზე ცალკეა დაწესებული გადასახადები. მთელი სოფლის საერთო გადასახადია 12000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ონგუზექი. ამ სოფლის ოსმალურ გადასახადთა შორის არის შირას გადასახადიც მითითებული. იგი ამ შემთხვევაში რეგისტრირებულია როგორც 450 მანი, თითოეულს გადაეხდება 4-4 ახჩა. გადახდილია 1800 ახჩა. აქვეა სათესველი მოხსენიებული, რომელიც ეკუთვნის ბირ ბასურს, მუშარისა და

ალსათარას, მასზე მიწერილია გადასახადი 50000 ახჩას ოდენობით. აქვეა ინფორმაცია მირაქის მფლობელობაში მყოფი ვენახის თაობაზე. კერძოდ ნათქვამია: ,,ვენახი მირაქისა ორი ნაკვეთი იმამ ალი ჰასანის ძის მფლობელობაშია შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე დაწესდა, რომ ყოველწლიურად გადაეხადა 40 ახჩა" (გვ. 87).

მომდევნო სოფელია აბრუნისი. მასში რეგისტრირებულია 37 კომლი. არის ოსმალური გადასახადები. აქვეა შირაზე დაწესებული გადასახადებიც. იგი დადგენილია 100 მანის ოდენობით. მასზე დაწესებულია გადასახადი 4-4 ახჩა, სულ გადასახდელია 400 ახჩა. საერთო გადასახდელი თანხაა 8000 ახჩა.

მომდევნო სოფელია ქეჰუდი. მასში სხვა ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია შირასა და ნადირზე გადასახადები. შირას გადასახადი 50 მანი, თითოეულს 4-4 ახჩა, სულ 200 ახჩაა. ნადირზე გადასახადია თითოეულზე თითო-თითო ახჩა. სულ გადასახადია 150 ახჩა. ამ სოფელში გაერთიანებულია 20 კომლი. სულ გადასახდელი თანხაა 3000 ახჩა.

შემდეგი სოფელია ბარასური. მასში წარმოდგენილია 33 კომლი. ოსმალურ გადასახადებთან ერთად წარმოდგენილია გადასახადი შირაზეც. თითოეულს გადახდება 4-4 ახჩა, საერთო ღირებულებაა 740 ახჩა. აქვეა წარმოდგენილი გადასახადი ვენახზე. ,, ვენახი ჰუნისა, რომელიც თან ერთვის ბაღჩას, ერთი ნაკვეთი, იგი იძლევა შემოსავალს ორს, იგი ალი ბეგ ზულფიკარ ზადეს მფლობელობაშია, შარიათის ჰუჯეთის თანახმად, იმთავითვე იძლევა შემოსავალს. დადგენილია ყოველწლიურად 65 ახჩა". ამ სოფლის საერთო გადასახდელია 10000 ახჩა.

